საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/137

ქ. ბათუმი 27 აგვისტო, 2021 წ.

„ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021-2022 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 24 აგვისტოს №01-02/135 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის N227 ბრძანებით დამტკიცებული ,,სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის", „ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 07 ივლისის №59 დადგენილების, 2021–2022 სასწავლო წლისთვის ბსუ-ს მაგისტრატურაში მისაღები კონტინგენტის, სამაგისტრო პროგრამაზე ჩასაბარებელი შესაბამისი მისაღები გამოცდების კოეფიციენტების და სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 18 იანვრის N06-01/02 დადგენილების (ცვლილება - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 აგვისტოს N 06-01/84 დადგენილებით), ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება" დამტკიცების შესახებ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 10 თებერვლის N06-01/15 დადგენილების, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2021 წლის 24 აგვისტოს MES 6 21 0000813150 სამსახურებრივი ბარათისა და ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2021 წლის 26 აგვისტოს MES 6 21 0000821016 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შევიდეს ცვლილება ,,ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021-2022 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 24 აგვისტოს №01-02/135 ბრძანების დანართ 1-ში და ჩამოყალიბდეს წინამდებარე ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფაკულტეტებს და ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს: სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2021 წლის
27 აგვისტოს N 01-02/137 ბრძანების
დანართი 1

N	ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	ბსუ-ს ფაკულტეტი	მისაღები კონტიგენტი (ადგილების რაოდენობა)
1.	ლინგვისტიკა	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	10
2.	ლიტერატურის თეორია და ქართული ლიტერატურათმცოდნეობა	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	5
3.	ევროპეისტიკა	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	15
4.	ისტორია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	5
5.	შავიზღვისპირეთისა და კავკასიის არქეოლოგია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	5
6.	განათლების ადმინისტრირება	ზუსტმეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი	15
7.	პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარება	ზუსტმეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი	15
8.	მათემატიკა	ზუსტმეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი	5
9.	ფიზიკა	ზუსტმეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი	5
10.	კომპიუტერული მეცნიერებები	ზუსტმეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი	10
11.	ბიოლოგია	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი	10
12.	ქიმია	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი	5
13.	ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი	5
14.	ეკოლოგია	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი	10
15.	სამართალი	იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	30
16.	ბიზნესის ადმინისტრირება	ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	30
17.	ეკონომიკა	ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	20
18.	ფინანსები და საბანკო საქმე	ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	30
19.	კლინიკური ფსიქოლოგია	იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	20
20.	ტურიზმის მენეჯმენტი	ტურიზმის ფაკულტეტი	25
21.	სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა	ტექნოლოგიური ფაკულტეტი	15
22.	ტელეკომუნიკაცია	ტექნოლოგიური ფაკულტეტი	5
23.	ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები	ტექნოლოგიური ფაკულტეტი	5